

ნანა ჯანაშია





1998 წელს, 90-იანებში, როდესაც საქართველოში გარემოს დაცვა კი არა, ადამიანის სიცოცხლეს კი არ იყო პრიორიტეტი, ნანა ჯანაშიამ CENN (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) დააარსა. ამით წლებით გაუსწრო დროსაც და მოვლენებსაც. ყველაფერი ერთი პატარა ოთახიდან დაიწყო. მაშინ ორგანიზაციის ხელმძღვანელიც და რიგითი თანამშრომელიც ნანა იყო. დღეს CENN-ს სამი ოფისი და ასობით განხორციელებული პროექტი აქვს, რომლებმაც თანამედროვე ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ყველა საქმის სათავეში ნანა ჯანაშია იდგა.

2023 წლის აგვისტოს ნანა მოულოდნელად ტრაგიკულად დაიღუპა სხვა ქვეყანაში, სხვა ცის ქვეშ, სხვა ზღვის პირას.

ეს პატარა წიგნი მის ხსოვნას ეძღვნება.

In 1998, during the turbulent 1990s—a period when environmental protection and even human life were neglected in Georgia—Nana Janashia founded CENN (Caucasus Environmental NGO Network). In doing so, she not only responded to the urgent needs of the moment but also looked years ahead of her time, anticipating challenges that would arise in the years to come.

What began in a single small room, with Nana serving as both the leader and the sole staff member, grew into a powerful force for change. Today, CENN stands as a testament to her vision and unwavering commitment, with hundreds of successfully implemented projects that have significantly shaped modern Georgian society. Nana Janashia was at the heart of it all—a pathbreaker, a leader, and a tireless environmental advocate.

In August 2023, Nana passed away suddenly and tragically—far from home, in another country, under a different sky, beside a different sea.

This little book is dedicated to her memory.

*The English translation appears at the end of the book.



გოგო ბუბას ხეობიდან

ნინო ჩხობაძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა

ნანა რომ გავიცანი, მესამე-მეოთხე კურსზე იქნებოდა. მაშინ სტუდენტები (ეკოლოგიის სპეციალობით) ასპირანტებს ძალიან დაგვიახლოვდნენ. მამისონზე ზაფხულის პრაქტიკები გვქონდა. 1989 წელი იდგა, არეულობა იყო, და გადავწყვიტეთ, სტუდენტები დიდი ხნით რაჭაში წაგვეყვანა.

ნანაც იქიდან მახსოვს, მამისონიდან, ბუბას ხეობიდან... ყველა ხეობა ფეხით გვქონდა მოვლილი. რიონის ყველა სათავეზე ვიყავით. სინჯებს ვიღებდით, ჰერბარიუმებს ვაკეთებდით, სოკოებსაც კი ვაგროვებდით, მაშინ ვცნობდით სოკოებს.

არანაირი პირობები არ გვქონდა, ჩანჩქერზე დავდიოდით საბანაოდ.

სალამოს ფილმებზე, იდეებზე ვლაპარაკობდით.

ნანა ძალიან უშუალო და უკონფლიქტო იყო. ვინც მაშინ ჰყავდა გარშემო, არავინ დაუკარგავს.

მერე მე მინისტრი გავხდი. ლორანი და ნანა ჩემთან მოვიდნენ და CENN-ის დაარსებაზე დამელაპარაკნენ.

მაშინ ძალიან სერიოზული პროექტები ხორციელდებოდა: „ბაქო-ჯეიჰანი“, „ბაქო-სუფსა“, იწერებოდა კანონები... მთავრობა და არასამთავრობო სექტორი ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.

2010 წელს, როცა მე მინისტრი აღარ ვიყავი, გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმების საკითხი დადგა. მაშინ ნანამ არასამთავრობო სექტორის ლიდერობა საკუთარ თავზე აიღო. მიაღწია იმას, რომ პარლამენტში მოსმენები მოეწყო. ხელისუფლებას ვარწმუნებდით, სამინისტრო არ გაეუქმებინა. არ გაუქმებულა!

2017 წელს სამინისტრო მაინც გააუქმეს. მაშინ ვუსაყვედურე კიდეც ნანას, სად იყავი-მეთქი. მაგრამ

მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა და მობილიზება ვერ მოვახერხეთ.

რამდენადაც ვიცი, მინისტრობასაც სთავაზობდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა.



ქორწილი 90-იანებში

ლორან გ. ნიკოლი, ნანას მეუღლე

1993 წელს საკუთარი საინჟინრო კომპანია ჩამოვაყალიბე. საქართველოშიც მიწევდა ჩამოსვლა.

ნანა 1998 წელს გავიცანი, თავიდან საქმე გვაერთიანებდა, მერე ერთმანეთი შეგვიყვარდა.

მაშინდელ ბელინსკის ქუჩაზე პატარა ბინა გვქონდა, ერთ ოთახში ჩვენ ვცხოვრობდით, მეორეში ოფისი იყო. შემდეგ ჭონქაძეზე გადავედით.

2000 წელს დავქორწინდით, მანამდეც გვინდოდა, მაგრამ საქართველოში შვეიცარიის საელჩო არ არსებობდა. საბუთები ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა გაგეგზავნა, იქიდან - მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, და შემდეგ - შვეიცარიაში.

როდესაც ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, მითხრა: საჭმლის კეთება ჩემი საქმე არ არის, დიდად - არც სახლის მოვლა, არც რეცხვა და უთობაო. კარგი-მეთქი. ჩემთვის მაინც არაფერი იცვლებოდა, ამ ყველაფერს ბავშვობიდან მივეჩვიე.

ორმოცი წლის იყო ნანა, ბავშვზე ფიქრი რომ დავიწყეთ. ამის გამო, ხუთი წლით ადრე სიგარეტს დაანება თავი. ლეონი 2012 წლის 29 სექტემბერს დაიბადა, ზუსტად 5 წუთით ადრე შუალამემდე.

ბავშვის დაბადების დღეებს ყოველთვის ნანა აორგანიზებდა. ლეონის დაბადების დღე ყოველთვის არაჩვეულებრივი იყო: სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა გარემოში; ტორტს ხან დედამიწის ფორმა ჰქონდა, ხან ტორტიდან რაღაც სიურპრიზები ხტებოდნენ...

შვეიცარიაში რატომ არ წავიდა საცხოვრებლად? ნანას უყვარდა თავისი ქვეყანა, უყვარდა და უნდოდა CENN. ნანას განსაკუთრებული ქარიზმა და

ნიჭი ჰქონდა, მოეზიდა საჭირო ხალხი. ეს ქარიზმა მე არ მაქვს. იცნობდა ხალხს ხელისუფლებაში და თუ ვინმე რამეს აშავებდა, პირდაპირ ეუბნებოდა.

კომფორტული ადამიანი იყო, მაგრამ - მტკიცე. დრო იყო, ბევრს ვჩხუბობდით, ბევრ რამეზე სხვადასხვა აზრი გვქონდა. ყოველ ორ საათში ვშორდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ხუთ წუთში ჩხუბი აღარც გვახსოვდა. ხომ არიან ადამიანები, თუ გაბრაზდნენ, 10-15 წელი ასე იქნებიან გაბრაზებული. ნანა არა, ნანა მხოლოდ ხუთი წუთით ბრაზდებოდა.

ძალიან მგრძნობიარე იყო, გულისხმიერი. ყოველთვის ცდილობდა, კონფლიქტი თავიდან აერიდებინა.

არ მახსოვს, ვინ მითხრა: ნანა ექსცენტრიულიაო. ნანა არ იყო ექსცენტრიული. განსხვავებული იყო, მაგრამ ძალიან სტრუქტურული. კი, უყვარდა სამკაულები, მაგრამ ძვირფასეულობა - არა. მისი ერთადერთი ოქროს სამკაული ჩვენი ქორწინების ბეჭედი იყო, ყველაფერი დანარჩენი ვერცხლის ჰქონდა. ძალიან კარგი მეგობარი მყავს, ხუთი თაობის იუველიერი, ბრილიანტებზე მუშაობს. ერთხელ ვისხედით, უყურებდა მის ხელებს: აი, ასეთი ბრილიანტი მოგიხდებოდაო, - ეუბნებოდა, მაგრამ ნანამ არ მოისურვა ბრილიანტის ბეჭედი.

ყოველთვის რთული იყო, ნანა კომპიუტერისა და ტელეფონისათვის მოგეწვიტა, სადაც არ უნდა წასულიყო, ორივე თან მიჰქონდა.

არ მგონია, ნანას რომელიმე მეგობარს ან კოლეგას მისგან სიტყვა „დავიღალე“ გაეგონა. ჩემთან ამბობდა ამას. სალამოს იტყოდა ხოლმე: „დავიღალე“.



ჭრელი და მრავალფეროვანი

კარლო ამირგულაშვილი, ბიოლოგი

მაშინ 17 წლის ვიყავი. ძალიან რთული პერიოდი იყო, გარდამავალი - შევარდნაძის მთავრობიდან სააკაშვილის მთავრობაზე. კახეთში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ მე მქონდა. უკანონო ხეტყის ჭრას ვეწინააღმდეგებოდით ახალგაზრდები. ისეთი დრო იყო, შეიძლება პატარა ბუკლეტიც კი ვერ დაგვებუჭდა. აი, მაშინ ჩამოვიდა ჩვენთან ნანა თავისი პროგრესული იდეებით, ტრენინგებით, სემინარებით. იმ პერიოდისათვის რევოლუციური მიდგომები ჰქონდა, პირდაღებულები ვუსმენდით: ამაზე ხმამაღლა როგორ ვისაუბროთო.

ასე დავმეგობრდით... ძალიან სუფთა ადამიანი იყო. ყოველთვის პირდაპირ მოგცემდა შენიშვნას, რაც ძალიან ძვირფასია მეგობრობაში.

ნანა ფერადი ქალი იყო და ამასვე აფასებდა ყველაფერში - ქვეყნის მრავალფეროვნებაში, ხალხის მრავალფეროვნებაში. სჯეროდა, რომ მრავალფეროვნებაში არის სიმდიდრე.

ამბობდა: „ერთ საკითხს ნუ მივედ-მოვედებით, მრავალფეროვანი ვიყოთ, ადამიანებთან ურთიერთობაშიც და საქმიანობაშიც“.

მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ყველასთან უშუალო იყო. ერთხელ ამერიკაში ვიყავით. იქ ვეგეტარიანულ საჭმელს გვაჭმევდნენ. რომ მიხვდა, აღარ შემეძლო უხორცობა: მოდი გავიპართო და ბურგერების საჭმელად წაგვიყვანა.

თუ დაინახავდა, რომ თავისუფალი აზროვნება გქონდა - ევროპული, ამავე დროს, ქართული იდეები, გეხმარებოდა. მეც ძალიან ბევრჯერ დამხმარებია. კარგად ცნობდა ადამიანებს და არასდროს შემცდარა მათში. ჩემ გარშემო უამრავი ახალგაზრდა შეამჩნია და ხელი შეუწყო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ქვეყანა არ დაგვეტოვებინა.

რწმენას გინერგავდა, რაღაცნაირად არაპირდაპირ, რბილად აკეთებდა ამას.

რომ ვამბობდი, ეს არ გამოვა-მეთქი, მეტყოდა: **„თუ გჯერა, რომ ეს სწორია, ყველა მეთოდით იბრძოლე და მიიყვანე ბოლომდე, სხვას ნუ მიუგდებ საქმეს, შენი გასაკეთებელი შენ გააკეთე“.**



მეგობარი სკოლის მერხიდან

ნინო შავგულიძე, CENN

ნანას მერვე კლასიდან ვიცნობდი, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, თბილისის პირველ ექსპერიმენტულში. სკოლის დამთავრების შემდეგ კიდეც უფრო დავმეგობრდით, აი, სკოლის მეგობარს რომ უწოდებ და იპოვი... პოლიტიკა იქნებოდა თუ სხვა რამე, ერთნაირი ღირებულებები, ერთნაირი შეხედულებები გვქონდა, მაგალითად, ორივე ეროვნულ მოძრაობას ვემხრობოდით. მიტინგებზეც ერთად დავდიოდით კლასელები. ასე გაგრძელდა ჩვენი თანამოაზრეობა და წლები ჩვენი მეგობრობისა.

ნანას ტექნიკური, ლოგიკური აზროვნება ჰქონდა. თუმცა, ჰუმანიტარული საგნებიც ეხერხებოდა. შესანიშნავად იცოდა ქართული, ინგლისური, რუსული, ცოტა ფრანგულიც.

ცეკვა უყვარდა უზომოდ, პატარები რომ ვიყავით, შეეძლო, მთელი ღამე ეცეკვა, არ დაიღლებოდა.

ყოველთვის ყველაფრის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო. ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდა და კარგადაც გამოსდიოდა.

განსხვავებული იყო, არავისში აგერეოდა, თბილი და გულჩვილი. თუ დაინახავდა, ვინმეს ჩაგრავდნენ, აუცილებლად გამოესარჩლებოდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბუდაპეშტში წავიდა სასწავლებლად. იქიდან ბევრად უფრო ძლიერი და თავდაჯერებული ჩამოვიდა.

ბოლო დროს სულ ამბობდა: მინდა, ადამიანების ცხოვრება უკეთესობის-

კენ შევცვალო. ეს არ იყო უბრალოდ სიტყვები, ყველაფერს აკეთებდა ამისთვის და ბევრი ახალგაზრდის ცხოვრება მართლაც შეცვალა. უზომოდ ენდობოდა ადამიანებს, ცდილობდა, მხოლოდ კარგი მხარე დაენახა და მხოლოდ კარგი ეფიქრა მათზე. ბევრი ეუბნებოდა: შენ უფრო გჯერა ჩემი, ვიდრე მე - საკუთარი თავისო. მეც ასე ვიყავი: ვეუბნებოდი, გგონია, ყველაფერი შემოიძლია, ბოლოს კოსმოსში გამგზავნი სკაფანდრის გარეშე-შე-მეთქი. იცინოდა: ვიცი, შეძლებო. ამით ძალასა და სტიმულს მაძლევდა.

მასშტაბურად აზროვნებდა, ყოველთვის დიდ სურათს უყურებდა და არა - პატარა მიზნებს, სხვასაც ამას სთხოვდა.

უნდოდა, სიბერე ზღვის პირას გაეტარებინა. ზღვა, მზე უყვარდა, სანაპიროს ვერ მოაშორებდი.

მეგობრები ვიყავით და სამსახურის მიღმაც სულ გვქონდა ერთმანეთთან კავშირი. ბოლო დღესაც ფოტოებსა და შთაბეჭდილებებს ვუცვლიდით ერთმანეთს.

უზომოდ მაკლია...

რალაც რომ ხდება, მინდა მოვუყვე და აღარ არის...



სადაც იყო ნანა, იქ იყო ზეიმი

თამარ მთვარელიძე, CENN

რთულია მეგობარზე წარსულში წერა. პირველი მოდის სინანულის განცდა, რომ მეტი ვერ მოასწარი, მეტად ვერ მოეფერე და ვერ აგრძნობინე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო შენთვის. სამწუხაროდ, გვიან ხვდები, რა ძვირფასია ყოველი წუთი, რომელსაც საყვარელ ადამიანებთან ერთად ატარებ.

ნანა სტუდენტობისას გავიცანი, 1990-იანი წლების მიწურულს, როცა ბუდაპეშტში მივდიოდით სასწავლებლად. თავიდანვე გამორჩეული იყო ყველასგან არა მხოლოდ თავისი გარეგნობით, არამედ თავისი სილალითაც და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: ბავშვური აღფრთოვანებითა და ინტერესით ცხოვრების მიმართ.

ძალიან სხარტი იყო ყველაფერში, საქმეში თუ გართობაში. პირველი ასრულებდა ნებისმიერ დავალებას, რასაც ინსტიტუტში გვაძლევდნენ. ერთ-ერთი საუკეთესო იყო კურსზე.

დღემდე არ ვიცი, როგორ ვახერხებდით უნგრეთში საკმაოდ დატვირთული სწავლის პერიოდში ამდენ გართობას. ძალიან უყვარდა და კარგად გამოსდიოდა ცეკვა, შეეძლო, მთელი საღამო ცეკვაში გაეტარებინა.

იმ წლებზე რომ ვფიქრობ, ვრწმუნდები, ნანას თავიდანვე ჰქონდა ადამიანების გაერთიანებისა და გუნდის შექმნის განსაკუთრებული უნარი. ურთიერთობაში იყო საოცრად მსუბუქი, თავმდაბალი და ხალისიანი. ბევრ უთქვამს: „მე ძალიან მიყვარს ადამიანები“. მართლაც, ყველაზე მეტად სხვაზე ზრუნვა, სხვისი დახმარება, გვერდში დგომა უყვარდა; ამაზე მეტად კი - სხვისი პოტენციალის დანახვა და განვითარება. ვფიქრობ, ეს იყო მისი იდუმალი ძალა - ძლიერი მხარე დაენახა ნებისმიერში. ამის მერე ნანას უკვე შენზე მეტად სჯეროდა შენი შესაძლებლობების და მოთხოვნებსაც უფრო მაღლა და მაღლა სწევდა. ნანა, თავისი მიდგომებითა და მაგალითით, იყო ნამდვილი მასწავლებელი, რომელიც საოცარ ინსპირაციას აძლევდა ყველას, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებს.

საოცრად უყვარდა კარგი გარემოს შექმნა ადამიანებისთვის, სადაც ნანა იყო, იქ იყო ზეიმი.

მენატრება როგორც ადამიანი, მეგობარი, მენტორი...



ბანაკი მომავლისათვის

ნათელა ლაგურაშვილი, GIZ

ნანა რომ გავიცანი, 16 წლის ვიყავი. CENN-ის ახალგაზრდულ ბანაკში მოვხვდი. იქ შევხვდი ადამიანებს, რომლებიც ამ საკითხებში იყვნენ ჩართული. ეკოკლუბის გაკეთება გადავწყვიტე.

კრწანისის ტყეპარკი მაშინ არანაირ სტატუსს არ ატარებდა, შემოუღობავი იყო. CENN დამიკავშირდა და მითხრა: ძალიან კარგი თემააო. მე და ჩემმა ეკოკლუბმა დავიწყეთ ამ თემის აქტუალიზაციის კამპანია. ნანა ყველა ღონისძიებაზე მოდიოდა. ძალიან უყვარდა კრწანისის ტყეპარკი, მასში განვითარების პოტენციალს ხედავდა.

ყოველთვის მახსოვს, როგორ სჯეროდა ახალგაზრდების. ეს პატარა ამბავი არ იყო. სამსახურიც შემომთავაზა.

ყოველ დილას, საკონფერენციო დარბაზში ყავის ჩამოსასხმელად რომ შევიდოდი, ნანაც შემოდიოდა და მეკითხებოდა: როგორ ხარო.

20 წლის ვიყავი, მაგრამ რაც არ უნდა სერიოზული საქმე ყოფილიყო, მაინც მენდობოდა. ბოლოს დიდი პროექტის წერაშიც ჩამრთო. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

თუ რამის სწავლა გჭირდებოდა, ამის საშუალებას გაძლევდა; თუ რამე გაწუხებდა, შეგეძლო, მისულიყავი და გეთქვა.

ძალიან უყვარდა ახალგაზრდული ბანაკები. ძალიან ბევრი ბანაკის გაკეთება მომიწია და ნანა თითქმის ყველა ამ საქმეში მონაწილეობდა. ჩამოვიდოდა, გაიცნობდა ბავშვებს, დაელაპარაკებოდა. ყოველთვის ხედავდა ახალგაზრდებში იმ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც სამყაროში რამის შეცვლა შეეძლო. ფეისბუკშიც ხშირად თავად გიმეგობრებდა. ის არასდროს გაგრძნობინებდა, რომ ნანა ჯანაშიაა, უამრავი საქმე და პასუხისმგებლობა აქვს და შენთვის არ სცალია.

ნანა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გარშემომყოფებზე, სულ ამბობდა: **„ყველაფერი შესაძლებელია. შრომა ყოველთვის ფასდება. რაც არ უნდა უსამართლო მოგეჩვენოთ ცხოვრება, თუკი შრომობთ, ის საბოლოოდ მაინც დაგიფასდებათ“.**



შოკოლადი მაგიდაზე

რეზო გეთიაშვილი, CENN

შეუძლებელია, არ გყვარებოდა. სადმე, საქმიან შეხვედრაზე რომ მიდი-ოდი, ღიმილით დაგეწეოდა, შოკოლადს დაგაწევდა - ენერგიას მოგცემს, გჭირდებაო.

თითო შოკოლადი დილით მაგიდაზეც გვხვდებოდა ხოლმე.

ერთხელ მეც პატარა თეთრი დათვი დავუდე მაგიდაზე და ამის შემდეგ დიდხანს ედო.

გვიყვარდა, მაგრამ ნანას უფრო ვუყვარდით. ან შეიძლება მისი ხასიათი იყო, რითაც სიყვარულს უფრო ღიად გამოხატავდა; თითქმის მისიად ქცეული ჩვევა, სულ სხვაზე ეფიქრა, ჩვენზე სათითაოდ ეფიქრა და ეზრუნა. ადამიანები ვართ და პრობლემები სულ იყო - ნანამ იცოდა თითოეულის პირადი პრობლემა და ცდილობდა, დაგვხმარებოდა, ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტებს ეძებდა, მხარში გვედგა.

ჩვენი სჯეროდა. იყო წესები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაგვეცვა. მაგრამ იყო თავისუფლება და ეს იყო თითქმის ულიმიტო. პირიქით - რასაც ითხოვდა, სწორედ თავისუფლება იყო. რადგან იცოდა, რომ ამის გარეშე არ არსებობს შესაძლებლობები, იდეები, მიზნები, გადაწყვეტილებები, გამბედაობა. მაშინაც თავისუფლები ვიყავით, როცა ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. და თუ ეწინააღმდეგებოდა, მაშინაც სრული მხარდაჭერა გვექონდა - ჩვენი სარისკო, მაგრამ გულწრფელი იდეებით გვემოქმედა. სიტყვა „განსხვავებული“ მისთვის იყო რაღაც იდეალურთან ახლოს, ეს იყო კომპლიმენტი. სამყაროს, ბუნებას, ადამიანებს სწორედ მათი მრავალფეროვნებით, მათი განსხვავებულობით აღიარებდა. ალბათ, ამიტომ იყო ყველასთან და ყველაფერთან ძალიან ახლოს.

ძალიან გაბედული იყო და რამდენადაც გაბედული, იმდენად - მორიდებული. შენი თუნდაც უმნიშვნელო საქმისათვის თავის გადატვირთულ დღის წესრიგს ნებისმიერ, გადამწყვეტ მომენტში შეცვლიდა.

იყო უკიდურესად პოზიტიური. მხიარულებას ასხივებდა. უყვარდა ხასხასა ფერები. შავი და ნაცრისფერი მისთვის ზედმეტად პათეტიკური იყო. მისთვის ადამიანები ყველაზე დიდი და ფერადი ფრთებით იბადებოდნენ და ისინი არც ნამდვილ და არც გამოგონილ ტვირთებს არ უნდა გაეჭყლიტა. უნდა ყოფილიყავი წარმატებული, მაგრამ, რაც მთავარია, უნდა ყოფილიყავი კარგად. ამისთვის მუდმივად იგონებდა რამეს - საღამოებს, მოგზაურობებს, ფეხით გასეირნებებს.

მთავარი იყო მიზანი და შეეძლო, ამ მიზნით შეპყრობილს წლები ეცხოვრა. თუმცა, პატარა უსამართლობა და ყველანაირი მიზანი მისთვის აზრს კარგავდა. არაფერი არ ღირდა კომპრომისად, ერთ წამში ხმაურით გაიჯახუნებდა კარს.

ბევრს მუშაობდა. ძალიან კარგად წერდა და ცდილობდა, სხვებისათვისაც ესწავლებინა. რედაქტორიც იყო, კორექტორიც, სინქრონიზტიც. მისი მთავარი პრინციპი იყო ხარისხი. კომპრომისი არც აქ შეიძლებოდა. შეეძლო, ტექსტი სტამბიდან მოებრუნებინა.

სულ სწავლობდა და აღიარებდა ყველას, ვისგანაც რამე ისწავლა. მასწავლებლებს ყველაზე დიდ და ყველაზე ახლობელ ადამიანებად თვლიდა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად აღიარებდა ახალგაზრდებს. იყო ყველაზე ბედნიერი, როცა მომავალი თაობის ხმა ისმოდა. ამ დროს მართლა ბავშვით ბედნიერი იყო, ემოციებს ვერ მალავდა და თავს იმით იმართლებდა, რომ ყველაზე დიდ ენერგიას ახალგაზრდებისგან იღებდა.

მგონი, ვიცი ის საიდუმლო, რაც ნანამ იცოდა: თუ უკეთეს საზოგადოებაზე, უკეთეს ქვეყანაზე, უფრო ბედნიერ ცხოვრებაზე, უფრო მწვანე პლანეტაზე და, რა თქმა უნდა, „ხარისხზე“ გაქვს პრეტენზია, თვითონვე უნდა გახდე უკეთესი, სხვაზე კი არა, საკუთარ თავზე უკეთესი. ჩემგან ეს ზედმეტად დიდ ძალისხმევას, ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. და თუ მაინც გავხდი ჩემს თავზე უკეთესი, მხოლოდ ნანას დამსახურებით, და კიდევ რამდენიმე ადამიანის შთაგონებით.



20 წლით წინასწარ

ნინო ზამბახიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

მე და ნანა ერთმანეთს 2012 წელს შევხვდით. მაშინ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი გავხდი. პირველად ნანასგან გავიგე, რა იყო მწვანე ეკონომიკა: რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ სოფლის მეურნეობას გარემოსათვის არ ევნო.

თავად დღე და ღამე შრომობდა იმისთვის, რომ ეს მიმართულება იმ დონეზე ამოეწია, რა დონეზეც დღეს არის. ძალიან ბევრ ადამიანს, მთლიანად სახელმწიფოს, გაუადვილა საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირება. მაშინ საქართველოში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მას კი სტრატეგიული ხედვა ჰქონდა, ხვდებოდა, 20 წლის შემდეგ რა იქნებოდა საჭირო. ვეხუმრებოდი: შენ რომ რაღაცას იტყვი, ადამიანმა ბიზნესი უნდა დაგეგმოს, ათი წლის მერე მოთხოვნადი გახდება-მეთქი. როცა რამე საკითხზე იყო საუბარი, ისეთ სიღრმეებში ჩადიოდა, რომ ხშირად მითქვამს კიდევ, როგორ იტევდა ამდენ ინფორმაციას.

არც ის და არც მე არცერთ საჭირო შეხვედრას არ ვაკლდებოდით. ერთსა და იმავე დღეს შეიძლება ოთხჯერ შეხვედროდით ერთმანეთს. ესეც მისი თავმდაბლობის გამოხატულება მგონია, ყველა შეხვედრას ესწრებოდა, ყველას შეეძლო მასთან ურთიერთობა.

ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი იყო, ქარიზმატული, გამორჩეული, კომუნიკაციის საოცარი უნარით. ყველას ალაფრთოვანებდა.

არ მახსენდება ადამიანი, რომელსაც უჭირდა და ნანა არ დაეხმარა.

რაც მთავარია, ძალიან მიზანსწრაფული იყო. შეეძლო, ერთ საკითხზე წლების განმავლობაში ემუშავა. დაიგეგმებოდა რაღაც ერთ მინისტრთან, გადაიყვანდნენ მინისტრს სხვა თანამდებობაზე, ახლა სხვა მინისტრთან იწყებდა თავიდან მუშაობას.

ისევ გადაიყვანდნენ სხვაგან, ისევ თავიდან...



ნანა ჩემთვის თავისუფალი ადამიანის სახეა

ეკა ასათიანი, Plasticwatcher.ge

ნანაზე ფიქრები წარსულ დროში ვერ გადამყავს და, მგონი, არც უნდა გადავიყვანო, რადგან მის ძლიერ და კეთილ გავლენას ისევ განვიცდი, ისევ სიყვარულით მავსებს, ძალას მმატებს და თავისუფლებას შთამაგონებს. ახლა უფრო ვხვდები, რა ბედნიერი ვარ, ცხოვრებამ მასთან მეგობრობის სიხარული რომ მომცა. ასეთი თავისუფალი ადამიანი იშვიათია. ძნელია, ნანასნაირად მთელი გულით გიხაროდეს სხვისი წარმატება, ასე პირდაპირ შეგეძლოს მეგობრის შექება, მის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა, ასეთი ხელგაშლილი იყო მის მიმართ, მუდამ გვერდში ედგე და მასზე ზრუნავდე. ნანასნაირი პატრიოტიც აღარავინ მეგულება, სამშობლოს დიდი გულშემატკივარი, მისი ევროპული მომავლისთვის მებრძოლი.

ამიტომ ნანა ჩემი უდიდესი დანაკარგი და ტკივილიცაა და საზღვრებს ავლებს ჩემს ცხოვრებაში - როცა მომწონდა და შორიდან პატივს ვცემდი; როცა ჩემი მეგობარი გახდა და ამან გამაძლიერა, თავდაჯერებული გამხადა; და ახლა, როცა წარსულიდანაც ახდენს ჩემზე გავლენას.

ძალიან მიყვარხარ, ნანიკო, ჩემო ძვირფასო, კეთილო, ერთგულო, გულუხვო და ხელგაშლილო, ჩემო ნანიკო!



ნახატები

ოლეგ ტიმჩენკო, მხატვარი

ნანას კარგად ესმოდა მხატვრობა, ყოველთვის დადიოდა გამოფენებზე, ნახატებსაც ყიდულობდა. მახსოვს, ერთხელ არაკომერციული გამოფენა მქონდა, დიდი ნახატი გამოვიტანე - გამოფენისათვის კარგი, მაგრამ სახლში დასაკიდად მოუხერხებელი. ნანამ ეგრევე თვალი დაადგა: ამას ვყიდულობო. ასეთი რისკიანი იყო. უფრო არატრადიციული, მოდერნისტული მხატვრობა მოსწონდა, ფერწერა.

ნანა რომ გარდაიცვალა, დედამისმა მისი უამრავი ფოტო გამომიგზავნა, რომ ფოტოდან დამეხატა.

ერთიც ვერ ვნახე ისეთი, სადაც არ იცინოდა... მეც ასე დავხატე.



ლამაზი ქაოსით სავსე

ელენე თათია ბედუელი, Bloomberg

მასთან 27-წლიანი მეგობრობა მარტო სიხარულისა და ტკივილის გაზიარება არ იყო. შეიძლება ირიბად, მაგრამ ნანა თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში მონაწილეობდა, რაც ამ ხნის განმავლობაში მიმიღია. „მაგარი ხარ!“ – მიყვიროდა თავისი უნიკალური ხმით, რომელიც ბედნიერი დღის ჩიტი გალობას ჰგავდა. კიდეც ვიღაცამ თქვა, რომ ნანა ეგზოტიკურ ჩიტს თუ ყვავილს ჰგავდა. ვეთანხმები – ჩიტს ან ყვავილს, რომელიც ნაცრისფერ და ცივ გარემოშიც კი ბრწყინავს.

თავს ობლად ვგრძნობ, ახლა კიდეც უფრო მჭირდება, წასვლის დრო არ იყო. დარწმუნებული ვარ, ერთხელ კიდეც ვნახავ და ვკითხავ: „როგორ დამტოვე ასე?! ხალხი მეუბნება, რომ უნდა გაგიშვა, მაგრამ ვერ ვახერხებ... ეს შენ უნდა მითხრა, ნან, თვითონ“.

მინდა, იცოდეს, რომ ჩემგან არც წასულა, ახლაც ვგრძნობთ მის სიახლოვეს; თუნდაც იქ, სადაც მის სახელზე ზეთისხილი დავრგე.

ნანა იყო მეგობარი, რომელიც მაშინაც ჩემთან იყო, როცა სიკვდილს თვალებში ჩავხედე. „გოგო, არ დამტოვო... არ ვიცი, უშენოდ რას ვიზამ“, - მომწერა და ყველა შესაძლო გზით მიხსნა, ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

ნანას ცხოვრება ლამაზი ქაოსით იყო სავსე, მაგრამ ეს სახეზე არასდროს ეტყობოდა. ყოველთვის ცდილობდა, სინათლისკენ ეცქირა. მეც მასწავლიდა, როგორ შემეხედა ცხოვრებისთვის უფრო ნათელი მხრიდან. ჩემი სტილი უყვარდა, ჩემი ფერადი ნივთები, გადამუშავებული მოდა. ამიტომაც ისე უხაროდა ჩემი საჩუქრები და სიამაყით ატარებდა.

ახლა ის ადამიანები, ვისაც ნანა უბოძოდ უყვარდა, ერთსა და იმავეს ვფიქრობთ - ის სულ ხალხით სავსე დარბაზებში უნდა ყოფილიყო, მთელი ცხოვრება, ხალხთან ერთად... ყოველთვის... არასდროს მარტო. მაგრამ ცხოვრება ხომ მდინარესავითაა: საბოლოოდ იქ მიდის, სადაც უნდა წავიდეს და არა იქ, სადაც ჩვენ გვინდა.



დიდი პასუხისმგებლობა

გიორგი ორკოდაშვილი, USAID

2013 წლიდან ვიცნობდი. სკოლის მოსწავლე ვიყავი. კონკურსებში ვმონაწილეობდი და ერთ-ერთ დაჯილდოებაზე თელავში ჩამოვიდა.

სკოლაში კლუბი მქონდა. ნანა სულ გვეხმარებოდა. მერე ამერიკაში წავედი სასწავლებლად და უკან დაბრუნებულს CENN-ში შემომთავაზა სტაჟირება. ექვსი წელი იქ ვიმუშავე. ნანას წყალობით, დილით სამსახურში მისვლა მიხაროდა. მისგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობდი.

ყოველთვის ადამიანებზე იყო ორიენტირებული.

პროექტის მენეჯერი რომ გავხდი, დღემდე მახსოვს ის, რაც მაშინ მითხრა: „მენეჯერობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან მარტო საქმის კი არა, ადამიანების მართვაც გიწევს. საქმეს ყოველთვის ეშველება და ადამიანებთან გაფუჭებულ ურთიერთობას - ძალიან რთულად“.



ძლიერი ლიდერი

ისლამ მუსტაფაევი, „რუზგარის“ გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი გაერთიანება, აზერბაიჯანი

გარემოსდაცვითი მოძრაობის ფორმირებაში ნანა ჯანაშვიას გამორჩეული ადგილი ეჭირა, განსაკუთრებით - სამხრეთ კავკასიაში.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები ვითარდება, მისი ძირითადი საქმიანობა გარემოსდაცვითი მოძრაობის განვითარება და რეგიონებში ეკოლოგიურ პრობლემებზე ფოკუსირება იყო. 2001- 2016 წლებში CENN-თან ათი ერთობლივი პროექტი განვახორციელეთ სხვადასხვა საკითხზე. მდინარეების -მტკვრისა და არაქსის - დაცვა, წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მიწის დეგრადაცია და კლიმატის ცვლილება, ეკომიგრაცია...

ნანა ძლიერი ლიდერი იყო. კოლექტიური მუშაობის დროს ყველაზე რთულ ამოცანებს საკუთარ თავზე იღებდა და ამით სხვებშიც პასუხისმგებლობის გრძნობას აღვივებდა.

ნანას განხორციელებული პროექტები, მისი იდეები კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური.



„სახელი მე დავარქვი“

ლელა ჯანაშია, ნანას და

ნანა ჩემთვის არა მხოლოდ და იყო, არამედ ყველაზე ახლობელი, ყველაზე დიდი მეგობარი. მის გარეშე ძნელია ცხოვრება, მიჭირს მოგონებების წერაც.

ნანას დაბადება კარგად მახსოვს, დიდი ვიყავი უკვე.

სახელი მე დავარქვი, მოსწონდა ძალიან, გვართანაც კარგად ირიტმებაო. გვარიც მოსწონდა: ცნობილი და ჟღერადი გვარიაო. კნინობითი სახელიც მე მოვუგონე - ნანიკო. ასე ვეძახდით სახლში.

საყვარელი ბავშვი იყო ნანიკო, კარგი ხასიათის და ამიტომ ბევრი მეგობარი ჰყავდა.

ორივეს განსაკუთრებით გვიყვარდა მამა, რომელიც მართლა გამოჩენილი კაცი იყო, განათლებული, პროგრესული აზრებითა და ძალიან რბილი ხასიათით. რეზო ადრე გარდაიცვალა და ორივეს გვინდოდა, მას ვმგვანებოდით. სულ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს: მე უფრო ვგავარ, არა - მე უფროო. ისე, გარეგნულად და ხასიათითაც ნანა უფრო ჰგავდა მამას.

მე თოჯინები არ მიყვარდა, უფრო დათუნები და ისიც იმავე სათამაშოებით თამაშობდა. სახლობანა არცერთს არ მოგვწონდა. რეზინობანა ეზოში, დაქალებთან ჭორაობა... ეს ყველაფერი ძალიან უყვარდა.

საკმაოდ თვითკრიტიკული იყო. არც საკუთარი გარეგნობა მოსწონდა ბოლომდე, არც სხვა რამ. კიდეც იმას ამბობდა: წერა არ მეხერხებაო. ყვე-

ლაფერიც ეხერხებოდა, მაგრამ თავისი გაკეთებულით ბოლომდე კმაყოფილი არასდროს იყო.

ჩემზე მიზანდასახული გამოდგა ნანა, მე უფრო ზოგადი განათლება მქონდა და ხშირად ბევრ რამეს მეკითხებოდა. ერთმანეთს კარგად ვავსებდით. უნგრეთში წავიდა სასწავლებლად და იქიდან სულ სხვა ადამიანი დაბრუნდა, უკვე კარგად იცოდა, რა უნდოდა და როგორ ეკეთებინა. იქ ვისწავლე მუშაობაო, - ამბობდა. ნანა მაინც სხვა თაობა იყო.

დიდი იყო უკვე, ლეონიკო რომ დაიბადა. ასეთ ასაკში რომ აჩენს ქალი, ფანატიკოსი დედა ხდება. ნანიკოც ხანდახან ამბობდა ხოლმე: აღარ მინდა მუშაობა, შვილი უნდა გავზარდოო, მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა.

მოგზაურობა უყვარდა და ხშირად მოგზაურობდა კიდეც, თუმცა, მერე მობეზრდა... ბევრი რამ ჰქონდა ნანახი, მაგრამ განსაკუთრებით მოსწონდა და უყვარდა სტამბული, ამბობდა, მსოფლიო დედაქალაქიაო.

არაფრისადმი არ იყო გულგრილი და განსაკუთრებით განიცდიდა, რაც ქვეყანაში ხდებოდა. არ იყო ჩართული პოლიტიკაში, მაგრამ იმისთვის იღვწოდა, რომ ყველაფერი უკეთ ყოფილიყო. შეეძლო, საერთოდ, წასულიყო საზღვარგარეთ და დისტანციურად ემუშავა, მაგრამ ქართველი იყო და იყო აქ.



Before Amy

ნინო თევზაძე, CENN

მე რომ CENN-ს შევეუერთდი, ის ჯერ კიდევ პატარა ორგანიზაცია იყო, პატარა გუნდით.

დაარსებისთანავე განისაზღვრა, ორგანიზაცია რეგიონული ყოფილიყო და თავისი საქმიანობით სამხრეთ კავკასიის ქვეყნები - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - მოეცვა. ამ მიმართულებას, შეძლებისდაგვარად, ბოლომდე მივყევით.

ოფისში იდეების გენერატორი ძირითადად ნანა იყო. არც თვითონ ისვენებდა და შენც მუდმივად აქტიური უნდა ყოფილიყავი.

მის ხელში ორგანიზაცია მუდმივად ვითარდებოდა. წესებიდან გადახვევა ძალიან არ უყვარდა. თანამშრომლების შერჩევის კარგი უნარი ჰქონდა.

ძალიან უხაროდა, როდესაც ხედავდა, რომ რაღაცას ცვლიდა. ნანა არ იყო ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ კომფორტსა და ინტერესებზე ფიქრობდა.

უნდოდა, ახალგაზრდებისათვის სტიპენდიები დაეწესებინა, რომ მათაც ჰქონოდათ განათლების მიღებისა და განვითარების საშუალება. ვერ მოასწრო.

ძალიან უყვარდა დღესასწაულები. თავისი დაბადების დღე ბავშვივით უხაროდა. ორი თვით ადრე იწყებდა სამზადისს. სტუმრებს სახლში მასპინძლობდა.

ნანა ჩემი დეიდაშვილი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობიდან თავისი, ყველასგან გამორჩეული სტილი ჰქონდა, განსხვავებული ვარცხნილობა.

ერთი უცხოელი კოლეგა სულ ეუბნებოდა: ემი უაინჰაუსივით გაქვს თმაო. ნანა ღიმილით პასუხობდა: „Amy was After me!“

ცხოველები ძალიან უყვარდა. ლისის ტბაზე ძაღლების თავშესაფარს შვილთან ერთად ხშირად სტუმრობდა. თბილისის ოფისშიც გვყავდა შეკედლებული კატა - პოპო.

ერთი თანამშრომლის ძაღლი სახლში მარტო ვერ რჩებოდა და ოფისში მოჰყავდა ხოლმე. ჰქონდა ამის უფლება.

დასვენებაც აქტიური უყვარდა. სასტუმროში პასიურად ყოფნა არ შეეძლო, ეს არ იყო მისი სტილი.

ამბობდა: „მზეს უნდა ვადმერთებდე, მზე რომ არ იყოს, არაფერი იქნებოდა“.



24/7

ლიდია ქრისტმენი, გერმანიის საელჩო

ნანა ჯანაშიას პირველად CENN-ის ოფისში შევხვდი. მე და ჩემი კოლეგები მივედით, რომ German Development Cooperation-ის და CENN-ის ურთიერთობის საკითხები განგვეხილა. ნანა მაშინვე მომეწონა, ენთუზიაზმით სავსე იყო, პოზიტიურ ენერგიას ასხივებდა. უნიკალური ელემენტური სტილი ჰქონდა. იგრძნობოდა, როგორი მოტივირებული იყო საქმის მიმართ, როგორ გულდასმით ეკიდებოდა მას.

ნანა ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკონტაქტო პირი გახდა საქართველოში. როდესაც სამოქალაქო საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა გვინდოდა, ნანას და მის გუნდს მივმართავდით.

მუდმივი ურთიერთობა გვქონდა. ბოლოს, სწორედ უბედურ შემთხვევამდე ორი კვირით ადრე, დავუკავშირდი, გვინდოდა, CENN-იდან ვინმე გამოეგზავნა ტრენინგზე გერმანიაში, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ტელეფონით ველაპარაკებოდი, Whatsapp-ით, ფოსტით. ის ალბათ 24/7-ზე მუშაობდა. ძალიან ენერგიული იყო.

ყოველთვის მემახსოვრება. უბრალოდ, დაუჯერებელია, რომ აღარ არის.



„მერე კიდევ როდის ვნახავ“

მაია თოდრია, ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

ნანას სტუდენტობიდან ვიცნობდი, საერთო მეგობრები გვყავდა. ყოველთვის მომწონდა ეს გოგო, ჭკვიანი, მიზანმიმართული. მიხაროდა, როცა შემხვდებოდა ხოლმე, მისგან ოპტიმიზმი და დადებითი ენერგია მოდიოდა.

ძალიან ადრე დააარსა თავისი ორგანიზაცია. მე ნიდერლანდების საელჩოში ვმუშაობ, რამდენიმე პროექტი გვაქვს CENN-თან ერთად გაკეთებული. მათთან ვთანამშრომლობდით, რადგან ვიცოდით, რომ ყველაფერს ისე გააკეთებდნენ, როგორც საჭირო იყო.

საერთო მეგობარმა მომიყვა... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ქუჩაში შეხვედრია ნანა, კარგა ხნის უნახავი. ეს თურმე შვილს უცდიდა. ნანას ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ ნახევარი საათი მაინც ჩემთან ერთად იდგა ქუჩაში, რომ ჩემი გოგო ენახა: მაინტერესებს, როგორი გახდა, მერე კიდევ როდის ვნახავო.



„თავადაც ბედნიერი იყო და ბავშვებიც“

ნატალი ტეილორი, CENN

2018 წლის იანვარი იყო, CENN-ში გასაუბრებაზე მივედი. ეს ჩემი პირველი სამსახური უნდა ყოფილიყო და ვღელავდი. ჯერ იმან გამაოცა, რამდენად კარგი გემოვნება ჰქონდა ნანას, რამდენად მოდური იყო, შემდეგ კი იმან შემაშინა, რამდენად ცივი გონებით შეეძლო აზროვნება. მისი კეთილგანწყობა დავინახე თუ არა, დავმშვიდდი. მას მერე შვიდი წელი გავიდა, მე ისევ CENN-ში ვმუშაობ.

ჩვენი ბოლო შეხვედრა განსაკუთრებული იყო. 2023 წლის მაისში მოსწავლეებთან ვორკშოფს ვატარებდი. ნანამ შემოგვიარა და გადაწყვიტა, დამხმარებოდა. სათლებს წყლით ავსებდა, ბავშვების დაყრილ პლასტმასის ბოთლებს კრეფდა და გულდიად იდიმოდა. თავადაც ბედნიერი იყო და ბავშვებიც.

ნანა ყოველთვის ასეთი დამამახსოვრდება.



მაქსიმუმის გაკეთება და სხვებზე ზრუნვა

მეგი გამტკიცულაშვილი, CENN

სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც თელავში ერთ ღონისძიებაზე ნანა გავიცანი. ჩვენთან, ახალგაზრდებთან, მოვიდა და ძალიან დიდხანს გვესაუბრა. გამოგვკითხა, რას ვსაქმიანობდით, რა ინტერესები გვქონდა, რომელ პროფესიას ვირჩევდით. მერე ბევრი რამ გვირჩია კიდევ. შეხვედრას უამრავი მაღალი რანგის სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ ნანამ უმეტესი დრო სოფლებიდან ჩასულ ახალგაზრდებს დაგვითმო, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

CENN-ში მუშაობა რომ დავიწყე, უფრო ახლოს გავიცანი. ყველანაირად დამეხმარა, როგორც პროფესიულ, ისე - პიროვნულ განვითარებაში.

იმდენად სჯეროდა ჩემი და ისეთ საპასუხისმგებლო საქმეებს მანდობდა, რომ შემდეგ უკვე მეც ვრწმუნდებოდი საკუთარ შესაძლებლობებში. ამან პროფესიულად ძალიან გამზარდა რეგიონიდან ჩამოსული და გამოუცდელი ახალგაზრდა.

თუ მკითხავთ, რა ვისწავლე ნანასგან, ვიტყვი, რომ ეს არის მაქსიმუმის გაკეთება, სხვებზე ზრუნვა და წვრილმანებისგან ბედნიერების მიღება.



ბანანები ალასკაზე

ხათუნა გოგალაძე, GEO - Georgia's Environmental Outlook

90-იანებში საზღვარგარეთ მაგისტრატურაში მინდოდა სწავლა, ერთ-ერთი ვარიანტი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი იყო უნგრეთში. არაფერი ვიცოდი, რა და როგორ გამეკეთებინა. ინტერნეტიც არ იყო. მითხრეს, ნანა ჯანაშიას აქვს ეგ უნივერსიტეტი დამთავრებული და მას ჰკითხო. შევხვდი. ძალიან ბევრი რამ მირჩია. სახლშიც წამიყვანა: რაღაც მასალებს მოგცემო.

მართლა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონია, როგორ დაგაკვალიანებენ. იმის მერე, თუ ვინმეს სჭირდება ჩემი რჩევა, მე მახსოვს ნანას გაკვეთილები და მეც ასე ვიქცევი - ყველას ვეხმარები.

წლების მერე ერთიანი პროგრამით ამერიკაში მოვხვდით ერთად, ალასკაზე. მახსოვს, ბანანები და ნაყინი ვიყიდეთ. რა უნდოდა ალასკაზე ბანანს? მაგრამ... ნანამ მითხრა, წლები რომ გაივლის, გაგვახსენდება, როგორ ვჭამდით ალასკაზე ბანანებს და ნაყინსო.



„ოღონდ დაბრუნდით“

კახა სუხიტაშვილი, CENN

ნანას მართვის საოცარი უნარი ჰქონდა. წლების განმავლობაში ამხელა ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და ერთხელაც კი არ მიგრძნია, რომ ჩემი უფროსია. არასდროს უთქვამს ჩემთვის: „კახა, ასე უნდა იყოს!“ ყოველთვის მეკითხებოდა: „კახა, შენ რას ფიქრობ?“ თათბირებზეც სულ ამბობდა: „აბა, თქვენი აზრი თქვით, თქვით, თქვით“...

ახალგაზრდებს რომ დაინახავდა, დაელაპარაკებოდა, გამოჰკითხავდა: რას სწავლობთ? რა გაინტერესებთ? ეუბნებოდა, საზღვარგარეთ ისწავლეთ აუცილებლად, ოღონდ დაბრუნდითო.

რამდენიმე წლის წინ კაჭრეთში CENN ღონისძიებას ატარებდა. ნანა წინანდალში იყო, მე თელავში ვცხოვრობ და მითხრეს: ბარემ გაუარე, წამოიყვანე კაჭრეთშიო, რამე კარგი მანქანა იქირავეო. რა მანქანითაც დავდივარ, იმით წამოვალ-მეთქი. ჩვეულებრივი ოპელი მყავდა. ვიცოდი, ნანას პრობლემა არ ექნებოდა. ნანასთვის მთავარი სულ სხვა რამ იყო.



ნინო სულხანიშვილი

„ეკოხედვა“

როდესაც ნანამ CENN-ის დაარსება გადაწყვიტა, შემომთავაზა, ერთ-ერთი დამფუძნებელი ვყოფილიყავი. დავაფუძნეთ და დავიწყეთ მუშაობა. ნანა გლობალურად აზროვნებდა, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, ადგილზე რა იყო გასაკეთებელი; იცოდა, რის მიღწევა უნდოდა და როგორ.

მისი პროექტები სამეცნიერო კვლევებით იყო გამაგრებული. ყოველთვის კვალიფიციურ მეცნიერებს ეძებდა. გრძელვადიანი დაკვირვებებით მიღებულ ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ცოდნა ნანამ არა მხოლოდ გამოიყენა, ხალხისათვის გასაგებ ენაზე გადაამუშავა და მოსახლეობას მიაწოდა. ამავდროულად, ძალიან კარგად იყენებდა ახალ ტექნოლოგიებს.

როდესაც ბეთლემის ქუჩაზე ოფისი შენდებოდა, ყველანაირად ეცადა, შენობა იმ ადგილს მაქსიმალურად მორგებოდა, საერთო ხედიდან არ ამოვარდნილიყო. ყველა დეტალზე ფიქრობდა. ზრუნავდა, ოფისი ინოვაციური და სასიამოვნო, კომფორტული ყოფილიყო მათთვის, ვინც იქ იმუშავებდა.



ნუნე სარუხანიანი

„Green Lane“, სომხეთი

2007 წლის გაზაფხული იდგა, ერევნის პატარა ოფისში მივდიოდი, როცა ტელეფონმა დარეკა და ქალმა სასიამოვნო ხმით შეხვედრა მთხოვა, ინგლისურად საუბრობდა. ავფორიქდი, ჩემთვის უცხო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სტუმრად მოსვლას აპირებდა. არც მასზე და არც მის ორგანიზაციაზე ბევრი არაფერი ვიცოდი.

მალევე ნანა ჯანაშია და მისი მოადგილე ჩემს ოფისში შემოვიდნენ, გვითხრეს: სომხეთის გარემოსდაცვით და სოფლის მეურნეობის ინსტიტუტებთან გვინდა შეხვედრაო.

იმდენად დავიბენი, ვერც გავაცნობიერე, როგორ დავიწყე (უჩვეულო ენთუზიზმით) ჩვენი ორგანიზაციის შესახებ ლაპარაკი: როგორ შეიქმნა, რას აკეთებს... ვუთხარი, რომ ძირითადად სოფლის მეურნეობის კუთხით კონსულტირებაზე ვართ ორიენტირებულები და მხოლოდ რამდენიმე მცირე კვლევა გვაქვს გაკეთებული, რომ ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნებოდა მათთან თანამშრომლობა, მაგრამ რამდენად გავამართლებდი მათ იმედებს? ნანამ იგრძნო ჩემი ორჭოფობა, ხელი მხარზე დამადო და დამარწმუნა: კარგად ვითანამშრომლებთო.

ერთ კვირაში CENN-ის ქსელის წევრი გავხდით. მხოლოდ მერე გავიგე, რომ ჩვენ გარდა ბევრ სომხურ არასამთავრობო ორგანიზაციას ესტუმრნენ და გადაწყვიტეს, CENN-ის წარმომადგენელი სომხეთში Green Lane ყოფილიყო.

სამი წლის განმავლობაში ვიყავით პარტნიორები ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტში - „მიწის დეგრადაციის ტენდენციების დინამიკა ტრანსსასაზღვრო მდინარის აუზებში“. ეს პროექტი განხორციელდა სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში.

ნანამ ჩემზე და ჩემს ორგანიზაციაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. თავისი კეთილგანწყობით ჩვენც და ათასობით სხვა ადამიანსაც დიდი სამყაროსკენ გაუხსნა გზა, გვასწავლა, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეგვიძლია, გავხადოთ ჩვენი ცხოვრება და მთელი კაცობრიობის ჰაბიტატი პლანეტა დედამიწა უკეთესი, უფრო მწვანე, უფრო კეთილი.



იგი გვამხნელებდა, აფასებდა ჩვენს შრომას და ყველგან და ყოველთვის აღნიშნავდა ამას. ხანდახან მეუხერხულებოდა, ვფიქრობდი: ამ სფეროში ახალბედა ვიყავით და არ ვიმსახურებდით ასეთ ქებას, რომ ნანა აჭარბებდა ჩვენი შეფასებისას, მაგრამ გულში მაინც გვიხაროდა და ვცდილობდით, ყველაფერი გაგვეკეთებინა, რომ ეს ქება მართლაც დაგვემსახურებინა.

წლების განმავლობაში ჩვენი შესაძლებლობები გაფართოვდა. ნანასთან და CENN-ის პროფესიულ გუნდთან მუშაობით თანდათან დავიხვეწეთ და ერთად ბევრი რეგიონული პროექტი განვახორციელეთ. გავხდით უფრო დამოუკიდებლები და უფრო კვალიფიციურები. Green Lane-ს უკვე ბევრი ორგანიზაცია სთავაზობდა თანამშრომლობას. ყოველი ახალი შემოთავაზების სიხარულს ნანას ვუზიარებდი. ისიც ბავშვივით ხარობდა.

ნანას, CENN-ის და Green Lane გუნდის ერთობლივი ძალისხმევით ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია გავხდით სომხეთის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სფეროში. დღეს ორის ნაცვლად რამდენიმე ათეული თანამშრომელი გვყავს. დავაარსეთ მწვანე სასწავლო ცენტრები კოტაიქის, ტავუშის, შირაკის რეგიონებში და ყველგან ვგრძნობთ ნანას ყოფნას. როდესაც ვგეგმავ მნიშვნელოვან პროექტს ან ინიციატივას, ყოველთვის ვფიქრობ, რას გააკეთებდა ნანა ამ სიტუაციაში.

მიხარია, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას CENN-ის გუნდთან, მათ შორის, ნანას მეუღლესთან - ლორან ნიკოლთან, რომელიც ორგანიზაციას ნანას უდროო გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობს. ვხვდებით ნანას ვაჟს - ლეონს. ყველას გვიხაროდა, როცა ის დაიბადა. ახლა დიდი ბიჭია და მის თვალებში ირეკლება ნანასეული სითბო და სიყვარული ბუნებისა და ადამიანების მიმართ.

ტავუშის რეგიონში მწვანე სასწავლო ცენტრის გარემოსდაცვით განყოფილებასა და აუდიტორიას ნანა ჯანაშვიას სახელი დავარქვით. ეს სფერო ძალიან შეესაბამება ნანას შინაგან სამყაროს. უბრალოდ, არ მინდა, რომ ის ჩვენგან შორს იყოს. მას ვერასოდეს დავივიწყებ...

ნანა ყველასთან იყო, ვისაც მხარდაჭერა, თანამშრომლობა, სითბო და პოზიტიური ატმოსფერო სჭირდებოდა.

ღმერთმა, რომლისაც ასე სწამდა ნანას, ყოველთვის ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

ძვირფასო ნანა, ძალიან გვენატრები.

სანამ ისევ შევხვდებით...



ნინო გაფრინდაშვილი

CENN

ჩვენ CENN-ში მხოლოდ ხელფასისათვის არ ვმუშაობდით: ვიცოდით, კარგ საქმეს ვაკეთებდით. ნანა იყო ამის სტიმული და მაგალითი. ხალხის სწორად შერჩევა შეეძლო, ყველას რაღაცას ასწავლიდა, მეც ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან.

ქედაში როცა ვმუშაობდი, ყოველთვის ჩამოდიოდა. აჭარა ძალიან უყვარდა, ზღვის გამოც, მთის გამოც. ამბობდა: პენსიაში რომ გავალ, აქ გადმოვსახლდებიო. საერთოდ, სხვა ადამიანი ხდებოდა აჭარაში.

რეგიონებში პროექტის განხორციელებას რომ გეგმავდა, ჯერ ჩავიდოდა, ხალხს შეხვდებოდა, დაელაპარაკებოდა და მერე წერდა პროექტს. ხალხთან შეხვედრის შემდეგ უამრავი იდეა გაუჩნდებოდა ხოლმე.

პროექტებს ყოველთვის თავად წერდა, მაგრამ ჩვენც ჩართულები ვიყავით. გვასწავლიდა, რა როგორ უნდა გაგვეკეთებინა.

თითქოს გრძნობდა, რომ მერე ჩვენ მოგვიწევდა ამის კეთება.



„არსებობს მიზანი და დაუღალავი შრომა“

ლია ახობაძე, ნანას დედა

რა უნდა თქვას ან დაწეროს დედამ შვილზე, რომელიც აღარ ჰყავს?! მაგრამ არ ვიქნებოდი მართალი, თუ არაფერს ვიტყოდი ნანიკოზე, რომელიც არა მხოლოდ შვილი, დედაც იყო ჩემი, თავისი დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით. ის ხომ ჯერ კიდევ ექვსი წლისა ლექსად მეუბნებოდა, გიყვარდესო: „ცა, სამშობლო და პატარა ნანა“. დამნაშავე ვიქნებოდი ნანიკოს წინაშე, რომელიც ასე უცბად და უცნაურად გაქრა სამშობლოდან ძალიან შორს.

და ყველაფრის მოწმე ლეონიკოს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება საშინელების განცდა, მაშინ უთქვამს: ალბათ, ნანიკოს არ უნდოდა, დაბერებულიყო.

როცა ყველაფერი დამთავრებულა და ცაზე ცისარტყელა გამოსახულა: ცისარტყელა გვანიშნებს, რომ ნანიკო ახლა სამოთხეშიაო, - ესეც ათი წლის, უკვე დაობლებული, ლეონის სიტყვებია.

არ ვიცი, ნანიკო, ახლა სად ხარ, მაგრამ რამე თუ არსებობს, თუ არსებობს სამოთხე, შენ აუცილებლად იქნები იქ შენი არაჩვეულებრივი თვისებების გამო, იმ დიდი სიკეთის გამო, რომელსაც უხვად გასცემდი. მაგრამ შენი ლეონიკოსთვის, რომელიც ათი წლის ასაკში (ასე პატარა) დააობლე, ეს დიდი ნუგეში ვერ არის; იმ ლეონისთვის, რომელიც ნატრობს, სიზმარში მაინც გნახოს; რომელიც ვედარასოდეს გიყიდის ბრჭყვიალა საათს, როგორც გპირდებოდა, ვედარასოდეს იტყვის ბედნიერების განცდით: ერთად! ერთად! ახლა რა უყოს ლეონიკომ თავის სევდასა და მოწყენილობას, ჯერ კიდევ ძალიან პატარას ასე რომ აწუხებდა. ლეონიკომ მონატრების ხაზი უკვე გადაკვეთა, როგორც ჩანს, ძალიან ადრე.

ბავშვობის მოგონებები - ტკივილიც და სიხარულიც - ძლიერია და წარუშლელი: ყოველივე ამის შემდეგ უცნაურად მენიშნა ჩვენი ერთად ყოფნის ბოლო დღეები. ნანიკო ძილის წინ ლეონიკოს გვერდით მიუწვა (ლეონი დედის გარეშე არ იძინებდა), და როცა მე ოთახში შევიხედე, ნანიკომ ცხოვრებაში პირველად გაიხსენა და მითხრა: იცი, დედა, ახლა ლეონს იმ მელოდიას ვუმღერი, შენ რომ ძილის წინ მიმღეროდიო.

მე კი, რომელსაც არც სმენა მაქვს და არც ხმა, რაღაც მელოდიას, ჩემ მიერ შეთხზულს, ვუმღეროდი ხოლმე ჯერ ლელას, მერე - ნანიკოს.

ნანიკომ ისიც გაიხსენა (ესეც უცნაურად მეჩვენება ახლა), სულ პატარას ფუსუსუნას რომ მეძახდიო. რას ნიშნავსო, - მეკითხებოდა მაშინ. არ ვიცი, ნანიკო, არაფერს! ასე გეფერები, ჩემო საყვარელო-მეთქი, - ვეუბნებოდი.

ნანიკო გამორჩეული და განსაკუთრებული დედა იყო; და როგორც ლეონი, CENN-იც მისი შვილი იყო, მისი პირმშო.

შენ კი, ჩემო პატარა ლეონიკო, აუცილებლად გეხსომება (უნდა გახსოვდეს) ნანიკოს არაჩვეულებრივი თვისება, ყოველი დღე დღესასწაულად ექცია ყველასთვის, განსაკუთრებით კი - შენთვის.

ნუგეშად დაგრჩება შენი ფერადი დედიკოს მუდამ ღიმილიანი სახე და ის ქრესტომათიული სიტყვები, რომლებიც დაგვიტოვა ჩვენ ყველას, უპირველეს ყოვლისა კი შენ, ჩემო პატარა: „არ არსებობს წარმატების ფორმულა, არსებობს მიზანი და დაუღალავი შრომა“, რომლის მაგალითი თავად იყო. და კიდევ: „მუდამ ვიყოთ ცვლილებებისკენ სწრაფვის მაგალითის მიმცემი“, - დაიმახსოვრე და შეასრულე.

ეს იქნება შენი ნანიკოს ყველაზე დიდი ბედნიერება.



ნანა ჯანაშია / Nana Janashia

25.06.1972 – 17.08.2023

1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, ეკოლოგიის განხრით.

1997 წლიდან მუშაობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პოლიტიკისა და მეცნიერების დეპარტამენტში. 1993 წლიდან იყო თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი. 1997 წლიდან - Caucasus Travel LTD-ს კონსულტანტი გარემოსდაცვით საკითხებში. 1994 წლიდან იყო „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის“ მდგრადი განვითარების პროგრამის კოორდინატორი, 1998 წლიდან - Acta Consultants Georgia-ს მენეჯერი.

1998 წელს დააფუძნა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) და სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი აღმასრულებელი დირექტორი. ამ 25 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ 300-მდე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პროექტი განახორციელა კავკასიის რეგიონში.

დაიცვა მანჩესტერის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი თემაზე: „ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (1997). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „ეკოტურიზმი საქართველოში: მნიშვნელობა და პერსპექტივები“ (1998), „ახალი ამბები საქართველოდან“ (ლონდონი, 1998), „მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში“ (1998), „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა“ (1998).

დაიღუპა ლას-გალერასში (დომინიკელთა რესპუბლიკა), სადაც ოჯახთან ერთად ატარებდა შვებულებას, მეხის დაცემის შედეგად.

In 1994, Nana graduated from the Faculty of Biology at Tbilisi State University with a degree in Ecology.

Her professional journey began even earlier: from 1993, she served as an ecology research associate at the Faculty of Biology of Tbilisi State University. From 1997, she worked at the Department of Environmental Policy and Science at the Central European University. In the same year, 1997, she became an environmental consultant for Caucasus Travel LTD. In 1994, she became the coordinator of the Sustainable Development Program at the Georgian Center for Wildlife Conservation, and in 1998, she took on the role of manager at Acta Consultants Georgia.

In 1998, Nana founded the Caucasus Environmental NGO Network (CENN) and served as its Executive Director until the end of her life. Over 25 years, under her leadership, the organization implemented around 300 impactful environmental projects across the Caucasus region.

She earned her master's degree from the University of Manchester with a thesis titled “Ecotourism and its Development Prospects in Georgia” (1997). Her published works include: “Ecotourism in Georgia: Importance and Prospects” (1998), “News from Georgia” (London, 1998), “Development of Sustainable Tourism in Georgia” (1998), and “The System of Protected Areas of Georgia” (1998).

Nana tragically passed away while on vacation with her family in Las Galeras, Dominican Republic, after being struck by lightning.



Pg.4

A Girl from Buba Gorge

Nino Chkhobadze, Green Movement of Georgia

When I first met Nana, she was in her third or fourth year at university. We were ecology postgraduates at that time, and our fellow undergraduates had become very close to us—we all shared the same interests and passion. We held our summer fieldwork at Mamisoni. It was 1989, a time of growing political unrest, and we decided to take the students to Racha for an extended stay.

From that place—Mamisoni, from Buba Gorge—I remember Nana... We traversed the place, walked through every gorge, and stood at the headwaters of the Rioni River. We took samples, made herbaria, and collected mushrooms. I remember us trying to identify them, learning as we went.

There were no comforts or facilities at all, but we didn't mind. Beautiful surroundings more than made up for it. Whenever we wanted to swim, we would simply make our way to the nearby waterfall.

In the evenings, we would talk about films, about ideas, about life.

Nana was open-hearted and peaceful—she never sought conflict. She always brought people together, and in the years that followed, she kept in touch with every single person who had shared that time with her.

Later, I became a minister. Nana and Laurent came to see me and spoke about their idea to establish CENN.

At the time, a number of major initiatives were underway—projects like Baku-Ceyhan and Baku-Supsa were being implemented, and environmental legislation was being drafted....There was active cooperation between the government and the non-governmental sector.

In 2010, when I was no longer serving as minister, an issue emerged to abolish the Ministry of Environmental Protection. That is when Nana stepped forward and took the lead of the non-governmental sec-

tor. Thanks to her tireless efforts, hearings were organized in Parliament. We stood together, and we convinced the government not to go through with the decision. The ministry was not abolished!

Despite every effort, though, the ministry was abolished in 2017. At that moment, I even reproached Nana, wondering why she hadn't spoken out louder when the ministry was being dismantled. But events unfolded so quickly, we simply didn't have time to mobilize.

As far as I know, she was even offered the position of minister—but she firmly declined.

Pg.6

Wedding in the 90s

Laurent G. Nicole, Nana's husband

In 1993, I founded my own engineering company, and not long after, I had to travel to Georgia.

I met Nana in 1998. At first, it was work that brought us together, but then we fell in love.

Back then, we had a small apartment on Belinsky Street. We lived in one room, and the other served as our office. Later, we moved to Chonkadze Street.

We got married in 2000. We had wanted to marry earlier, but there was no Swiss embassy in Georgia at that time. The paperwork had to travel a long route—first to the Ministry of Foreign Affairs, then to the Georgian embassy in Moscow, and finally to Switzerland.

When we decided to live together, she told me: "Cooking isn't really my thing—nor is housekeeping, washing, or ironing." I said, "Okay." It didn't make much difference to me anyway; I'd been used to doing all that since childhood.

Nana was forty when we started thinking about having a child. She even quit smoking five years earlier in preparation. Leon was born on September 29, 2012, exactly five minutes before midnight.

Nana always took it upon herself to organize our son's birthday parties. Leon's birthday was never ordinary or like any other—each year celebrated in a new place, each setting even more imaginative and memorable than the last. At times, the cake would be shaped like the Earth; at others, it would explode with surprises like magic...

Nana could have lived in Switzerland, so why didn't she? Because she cherished her country, she loved CENN and believed in its mission. Nana had a unique charisma and talent to draw the right people to her. I don't have that kind of presence. She had connections with people in power and never hesitated to raise her voice when she saw wrongdoing.

